ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №45
2022 წლის 16 დეკემბერი

დაბა ასპინძა

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

დამტკიცდეს ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართის შესაბამისად;

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის №12 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 29/06/2017; ს/კოდი: 010250050.35.140.016257);

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 01 იანვრიდან.

ასპინძის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკი ბერიძე**

დანართი

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	რანგი	შტატის დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო
1		**საკრებულოს პოლიტიკურითანამდებობის პირები**	**19**	
		საკრებულოს თავმჯდომარე	1	4961
		საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	3751
		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	3267
		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	2662
		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	2420

		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	8	1936
2	**საკრებულოს აპარატი**		**6**	
	I რანგი	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – **აპარატის უფროსი**	1	2420
	II რანგი	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – **საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელი**	1	1936
	III რანგი	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – კადრებისა და წერილების საკითხებში	1	1210
	III რანგი	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – საქმისწარმოების საკითხებში	1	1210
	II რანგი	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – **საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი**	1	1936
	III რანგი	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-კომისიების და ფრაქციების ამომრჩეველთან შეხვედრების ორგანიზაციული უზრუნველყოფის საკითხეხში	1	1210